ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

2011–2012 სასწავლო წლის ანგარიში

2011–2012 სასწავლო წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა შემდეგი მიმართულებით წარიმართა:

I. ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება და განაცხადის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

II. პირველი, მეორე და მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და აკრედიტაციის მინიჭების მიზნით მათი წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

III. სასწავლო პროცესის მონიტორინგი;

IV. თვითშეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება. სტუდენტთა, პროფესორ–მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ახალი კითხვარების შემუშავება;

I. ავტორიზაციის თვითშეფასების პროცესის ორგანიზება და განაცხადის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წელი 20–22 მარტს ავტორიზაციის საკითხებზე ჩაატარა ტრენინგი, განხილული იქნა ყველა ის რჩევები და რეკომენდაციები, რომელიც ხელს შეუწყობდა ავტორიზაციის პროცესის წარმატებულ გავლას.
2. 2011 წლის აპრილის პირველ ნახევარში რსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწავლო დეპარტამენტების მიხედვით პროფესორ–მასწავლებლებს ჩაუტარა დამატებითი კონსულტაციები ავტორიზაციის რეკომენდაციების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შედგენის ძირითადი მოთხოვნების გაცნობის მიზნით;
3. შემუშავდა პროგრამებისა და სილაბუსების სარეკომენდაციო ფორმები;
4. პროფესორ–მასწავლებელთათვის მომზადდა პაკეტი, სადაც თავმოყრილი იქნა ავტორიზაციასთან დაკავშირებული ყველა სახელმძვანელო დოკუმენტი;
5. ხარისხის სამსახურთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც პერიოდულად ახორციელებდა მიმდინარე პროცესების მონიტორინგს და საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზას, აწყობდა შეხვედრებს ცალკეულ პროგრამებთან;
6. 2011 წლის 22–24 ივლისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი;
7. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 04 აგვისტოს №117 გადაწყვეტილებით სსიპ–შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს **2012–2013 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი** და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. სსიპ–შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრა 4940–ით, ხოლო სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრა 500–ით.

II. პირველი, მეორე და მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა და აკრედიტაციის მინიჭების მიზნით მათი წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში;

1. 2011 წელი 31 ივლისი–1 აგვისტო – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაატარა ტრენინგები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურის საკითხებზე;

2. აღნიშნული ტრეინინგების შემდეგ სამსახურმა დაიწყო აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სასწავლო დეპარტამენტების მიხედვით პროფესორ–მასწავლებლებს ჩაუტარდათ დამატებითი ტრეინინგები საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის შევსების წესისა და აკრედიტაციის პროცესში გამოსაყენებელ დოკუმენტების შესახებ, ასევე მივაწოდეთ ავტორიზაციის ექსპერტთა შენიშვნები და რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შემდგომი დახვეწის მიზნით;

3. ხარისხის სამსახურის წარდგინებითა და რსუ–ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით განისაზღვრა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური ექსპერტიზის პროცედურა;

4. ხარისსხის სამსახურმა შეადგინა კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კითხვარი. უნივერსიტეტის სინამდვილეში პირველად ჩატარდა ბაზრის ანალიზი, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან შეხვედრები და პროგრამის შემუშავებაში მათი მოსაზრებების გათვალისწინება;

5. საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასებისა და რეკომენდაციების მიზნით რსუ–ს რექტორის ბრძანებით(№01–08/35, 6.09.2011) შეიქმნა პირველი, მეორე და მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, რომელმაც ხარისხის სამსახურის კოორდინირებით მოახდინა აკრედიტაციისათვის წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება;

6. კომისიის მიერ გაკეთებული შენიშვნები წერილობითი სახით მიეწოდა პროგრამის ხელმძღვანელებს და განისაზღვრა ამ შენიშვნათა გათვალისწინებისა და პროგრამათა დასრულებული სახით წარმოდგენის ვადები;

7. 2011 წლის 15 ოქტომბრამდე მოხდა საბაკალავრო პროგრამების, 2011 წლის 15 დეკემბრამდე სამაგისტრო, ხოლო 2012 წლის მაისის პირველ ნახევარში სადოქტორო პროგრამების წარდგენა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის მიღების მიზნით;

8. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 4 და 25 ნოემბრისა (ოქმი №9 და №12, 2012 წლის 12 მარტის (ოქმი№2) და 2012 წლის 3 ივლისის (ოქმი №5) გადაწყვეტილებების საფუძველზე აკრედიტაცია მიენიჭა შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს:

საბაკალავრო პროგრამები(სულ 37):

აგრონომია, აგროეკოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია, სასურსათო ტექნოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტურიზმი, სამართალმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაცია, სამთო და გეოინჟინერია, დაწყებითი განათლება, კომპიუტინგი, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ზღვის ბიოლოგია, გეოგრაფია, ეკოლოგია, ქართული ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, ისტორია, თურქეთისმცოდნეობა, ფილოსოფია, ფარმაცია

ერთსაფეხურიანი (სულ 2):

მედიცინა, სტომატოლოგია

სხვა პროგრამები (სულ 2):

მასწავლებლის მოსამზადებელი პროგრამა, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა აზერბაიჯანულენოვანთათვის/სომხურენოვანთათვის.

სამაგისტრო პროგრამები(სულ 23):

აგრარული ტექნოლოგიები, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა,ფინანსები და საბანკო საქმე, სამართალი, ფსიქოლოგია, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკა და ტექნოლოგიები, მათემატიკა, ლინგვისტიკა, ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება, საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგანობრივი ჯგუფის მასწავლებელი, განათლების ადმინისტრირება, ქიმია, ბიოლოგია, ევროპეისტიკა (სპეციალიზაცია-ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია), ისტორია (სპეციალიზაცია-საქართველოს ისტორია, თურქეთის ისტორია), შავიზღვისპირეთისა და კავკასიის არქეოლოგია,ბიზნეს ინფორმატიკა,რადიოფიზიკა

სადოქტორო პროგრამები (სულ 10): აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა, ფიზიკა, გეომეტრია–ტოპოლოგია, ბიოლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა, არქეოლოგია;

9. 2010-2011 სასწავლო წლისათვის მოქმედი რსუ–ს პირველი, მეორე და მესამე საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაციები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 10 დეკემბრის №120 ბრძანებასთან;

10. რსუ–ში მოქმედი მე–2 და მე–3 სასწავლო წლის კურსების ყველა საბაკალავრო პროგრამა, რსუ–ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, ადაპტირებული იქნა აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან;

11. რსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით მომზადდა და სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 2012 წლის მაისსა და ივნისში წარედგინა ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის 2012 წლის თვითშეფასების ანგარიშები.

III. სასწავლო პროცესის მონიტორინგი;

1. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა სასწავლო პროცესის სისტემატური მონიტორინგი ლექციებზე, ჯგუფში მუშაობაზე და გამოცდებზე დაკვირვების გზით;
2. შუალედური/დასკვნითი გამოცდების შეფასების ანალიზი.
3. სტუდენტთა ნაშრომების (ლექტორის მიერ უკვე შეფასებული) ექსპერტიზა;

4. მონიტორინგის შედეგად(მათ შორის ვიდეომონიტორინგის) გამოვლენილი სუსტი მხარეები, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციებთან ერთად, ფაკულტეტის ხარისხის სამსახურებმა დეტალურად გააცნო ფაკულტეტების ადმინისტრაციასა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირებს.

2. 2011–2012 სასწავლო წლებში მიმდინარე პროცესების დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ხარისხის სამსახურმა სხვა სტრუქტურებთან ერთად შეიმუშავა და რსუ–ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა პროექტი „რსუ-სში სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“(დადგენილება№12.09.02.12);

3. საამსახურის მონაწილეობით შემუშავდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შედეგი რეგულაციები:

ა) „რსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“

ბ) „რსუ–ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესი“

გ) „რსუ-ს ზეპირი და წერითი გამოცდების ჩატარების დებულება“

IV. თვითშეფასების მიზნით სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება. სტუდენტთა, პროფესორ–მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ახალი კითხვარების შემუშავება;

1. უნივერსიტეტის სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების თვითშეფასების მიზნით ორჯერ ჩატარდება სტუდენტთა გამოკითხვა.ელექტრონული ფორმით გამოიკითხა სტუდენტთა დაახლოებით 50 %.
2. გამოკითხვის შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააცნო დეკანატებს, სასწავლო დეპარტამენტებსა და რსუ–ს ადმინისტრაციას.
3. გამოკითხვის შედეგების ანალიზის შედეგად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შეიმუშავა რაკომენდაციები, რომელიც განსახილველად გადაეცა რსუ–ს აკადემიურ საბჭოს (იხ. დადგენილება, №103, ოქმი №10,21.07.2011 და დადგენილება №125, ოქმი №11, 27.07.2012);
4. USAID დაფინანსებითა და G-PAC-ის მიერ განხორციელებული პროგრამის ფარგლებში 2011–2012 სასწავლო წელს საერთაშორისო განათლების ცენტრის ბათუმის განყოფილებასთან ერთად განხორციელდა პროექტი– „სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება რსუ-ში“, პროექტის ფარგლებში შემუშავდა სწავლა-სწავლების ხარისხის თვითშეფასების ახალი კრიტერიუმები–სტუდენტთა, პროფესორ–მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ახალი კითხვარები, რომელიც 2012–2013 საასწავლო წლიდან ამოქმედდება.